საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1893
20/03/2023

1893-21-2-202303201516

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს**

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №904 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. მელეს მიმდებარედ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ცხენისწყლის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის სიგანე;
- დოკუმენტის თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია 576 ძირი თხმელასა და 43 ძირი ტირიფის მოჭრა, თუმცა, დასაბუთებული არ არის აღნიშნული რაოდენობის ხეების მოჭრის საჭიროება;
- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთოდეს 200 მეტრამდე სიგრძის და 2 მეტრი სიგანის ტექნოლოგიური გზის განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაცია GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
- დოკუმენტში არ არის მოცემული საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობის მიმდებარედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ინფორმაცია და არ არის შეფასებული მოსალოდნელი ზემოქმედება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო